



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N18

2018 წლის 29 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა
და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქ.ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 580.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.42.08.500) 2 (ორი) წლის ვადით იჯარის ფორმით ავტოტექმომსახურების ცენტრის განთავსების მიზნით ფ/პ ბიჭიკო მენაღარიშვილს;

2. ქ.ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 580.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 14500 (თოთხმეტი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი